



## სამეურნეო ჟურნალი

# გოსსავსელი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალის ფასი წელიწადში . . . 3 მან. || რედაქცია: კავკასიის სამეურ. საზოგადოება  
თითო ნომერი ხელზე გასასყიდად . 10 კაპ. || ადრესი: Тифлисъ, Вярятинская, № 5.

წელიწადი პირველი

1909 წელიწადი.—1 მარიაგობისთვე.—№ 6.

### შინაარსი

ე. იოსელიანი . . . . .	ძველი კითხვა ახალ პირობებში . . . . .	3
ე. ხრამელაშვილი . . . . .	წვრილი სესხი სოფლად . . . . .	4
ს. ხუნდაძე . . . . .	ვაზის ობი ანუ მიღლიუ და მისი წამლობა . . . . .	8
გ. ნახუცრიშვილი . . . . .	ვაშლის სოკოთი ავადმყოფობანი . . . . .	11
ვ. შ—ელი . . . . .	ბუნებრივი სასუქი ხეხილებისათვის . . . . .	12
ე. კარბელაშვილი . . . . .	სანიმუშო წესდება წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამ- ხანაგობათა დამტკიცებული 1908 წელს 18 გიორ- გობისთვეს . . . . .	13
საყურადღებო ცნობები:	ლეღვის ეავა.—გათიბვის დრო . . . . .	16

### ტფილისი

ელექტრო-მბეჭდავი წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.

1909

# სამეურნეო ჟურნალი მოსავალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: — ავერკინი პ., ალიბეგოვი გ., ბერეკა-  
შვილი კ., გვერდწითელი პ., გოგნიევი ლ., გოგინაიშვილი ფ., დედაბრძელოვი ს., ეირანო-  
ვი ს., ვაჟა-ფშაველა, იოსელიანი ე., კარბელაშვილი ე., კალანდაძე ნ., ლორთქიფანიძე პ.,  
ლიონიძე ა., მაკარაშვილი ნ., მოსეშვილი ი., მრეველიშვილი გ., მკურნალი ნ., მურგანიშვი-  
ლი მ., მჭედლიშვილი ვ., მამულაშვილი მ., მაღალაშვილი მ., ნანეიშვილი მ., ნახუცრი-  
შვილი გ., ნასარიძე ს., ქვარინი ს., ედილაშვილი ზ., ღვთისფაროვი კ., ზალიშვილი მ.,  
ჯაფარიძე გ., ყვარიშვილი ნ., ჩოლოყაშვილი ს., რაჭიკაშვილი თ., რცხილაძე ვ., ხუნ-  
დაძე ს., ციმოფევეი ს., სააკოვი ა., ქარცივაძე მ.

რედაქცია მოვლის სხვებიდანაც თანამშრომლობის სურვილის გამოცხადებას.

## თანამშრომელთა საპუბლიკაციო.

ჟურნალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, და-  
ნარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაუთმობა თანამშრომლებს პროპორ-  
ციულად მათი ნაშრომისა.

დასაბუთად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეა-  
მოკლოს. წერილები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შე-  
ინახებიან დასაბრუნებლად.

რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი  
შუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრეთვე ყველა სამეურნეო  
ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

**განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე.** ჩვეულებრივი სტრი-  
ქანი (ვენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური.**

წლიურ აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით.**

განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

**ქუთაისში** ხელის მოწერა ჟურნალზე მიიღება წიგნის მაღაზიაში „იმერეთი“

# კველი კითხვა ახალ პირობებში

## ეროვა ამიერ კავკასიაში

ტფილისის გაზეთებმა ამ ერთი თვის წინად დაბეჭდეს ნამესტნიკის ცირკულიარი ერობის შემოღების შესახებ. ამ ცირკულიარში მოყვანილია ერობის პროექტიც თვით ნამესტნიკისაგან მოფიქრებული დღევანდელ კულტურულ და ეკონომიურ მდგომარეობასთან მიხედვით. ეს პროექტი ხელმწიფის ბრძანებით განხილულ იქმნა მინისტრთა საბჭოში, რომელმაც ის აზრი გამოიტანა, რომ იგი პროექტი ძრიელ რთულია და გასახორციელებლად ძნელი აქაური ხალხის უკულტურობისა და სიღარიბისა გამო. მინისტრთა საბჭო უფრო შესაძლებლად ჰრაცხს ორ ხარისხოვან ერობის შემოღებას—ერთი სოფლის ერთეული და მეორე სამაზრო ან საგუბერნიო ერთეული, ხოლო გადაწყვეტილი რამ არა დაუდგენია რა, ვინაიდან საჭიროთ სცნო მასალის მოგროვება და ადგილობრივ დაწვრილებით შემუშავება კითხვისა.

მე მინდა მინისტრთა საბჭოს ამ შენიშვნებით გამოწვეული ზოგადი აზრი განუზიარო მკითხველს.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქართველ საზოგადოებას არა ერთხელ მიუმართავს თხოვნით მართველობისათვის ერობის დაწესების შესახებ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. ეს მიმართვა გამოიწვეოდა იმითი, რომ ქართველი ერთი ვერ მიმხვდარიყო, რა ნაირად შეიძლება მიწა-წყლის შესახები საქმეების მართვა იმ პირთაგან, თუნდა ადმინისტრაციისაგან, რომელნიც ამ მიწაწყლის შეილებს არ ეკუთვნიან და არც რამეს კითხავენ მათ.

ერთი თავის მდგომარეობას ბაღლის მდგომარეობასთან ადარებდა და ცდილობდა ამ აპეკიდან დაეხსნა თავი, თითონ გამხდარიყო თავისი მიწა-წყლის მომვლელი. არც თვით მართველობა იყო კმაყოფილი იმ გარამოებით, რომ ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგაც იგივე ადმინისტრაცია რჩებოდა სამეურნეო საქმეების წინამძღოლად. ამიტომ 1864 წ. დაწესებულ იქმნა შიგნით რუსეთის ში გუბერნიებში ეროვა და დაევალა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ყოველი ღონისძიება ეხმარა ერობის მთელს იმპერიაში დასაწესებლად.

დავალება ვერ გაამართლეს, როგორც სამინისტრო ამბობს, ზოგან პოლიტიკური გარემოებებისა და ზოგან ადგილობრივ განკერძოებული პირობების გამო, თუმცა თვით სამინისტრო აღვიარებდა, რომ აწინდელი მართვა-გამგეობა სამიწა-წყლო საქმეებისა ვეღარ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას და კანონსაც ეწინააღმდეგებაო.

იგივე შეუფერებლობა არსებული სამეურნეო საქმეების გამგებლობაში აღვიარა სახელმწიფო საბჭომ 1896 წელს და დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს ერობის შემოღება, ხოლო ვიდრე ამ დავალებას მიეცემოდა რაიმე განხორციელება კავკასიის უფროსმა დონლუკოვ-კორსაკოვმა თავის მხრივ წარადგინა მოხსენება შესახებ ერობის შემოღებისა, სადაც ამტკიცებდა რომ დრო ერობის დაარსებისა უკვე დამდგარია და უფრო შესაფერი დროთა და გარემოებათა მიხედვით იქნება ამიერ

კავკასიისათვის 1864 წლის ერობის შემოღებაო. ბევრი ქვეშაირიტი აზრი იყო გაზოთქმული ამ მოხსენებაში, მაგრამ სუყველაფერი ისევ ძველებურათ დარჩა.

ამგვარად თვით ამიერ კავკასიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს არა ერთხელ უღვიარებიათ ერობის შემოღების საჭიროება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში მიინც, მაგრამ ეს თითქოს ყველასათვის სანატრული დაწესებულება ჯერაც არ არის განხორციელებული. რატომ? იქნება მარტო თითო-ორილა ადმინისტრაციის წარმომადგენელი აცხადებდნენ ამ საჭიროებას და საზოგადოების კი გაჩუმებულნი იყვნენ? არა. ნატრის თვალი ვერც საზოგადოების წარმომადგენლების მეხოხებით იქმნა დაჭერილი.

ამ ოცდაათი წლის წინეთ ი. ჭავჭავაძემ დაბეჭდა რამდენიმე წერილი სოფლის ყოფა-ცხოვრებისა და სოფლის თვითმართველობის შესახებ. განსვენებული სწერდა: „უმთავრესი კუთვნილებანი თვითმართველობისა არიან 1) საქმეთა ადგილობრივი გასამართლების უფლება. ამახედ არის დამყარებული მცხოვრებთა პატივის, ღირსების და ქონების ნამდვილი მფარველობა და ხელშეუხებლობა; 2) უმაღლესი მართებლობისაგან გაწერილი ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის განაწილება; 3) ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედან შემოსავლის ფულის თავისუფლად გამგეობა; 4) სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და

რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდნენ; 5) ადგილობრივის პირველ დაწყებითის სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა; 6) ადგილობრივის საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიების მოხმარება; 7) ადგილობრივის საზოგადოების საზრდოებისათვის თადარიგის დაჭერა და ღონისძიების მოპოება; 8) ადგილობრივი გზების, ხიდების კეთება; 9) უმაღლესის მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასხედა, რაც ადგილობრივ საზოგადოების მოთხოვნილებას შეადგენს“...

ამავე საქმეს განაგებდა თითქმის ერობა 1864 წლისაც შემოღებული შიგნით რუსეთის შპ გუბერნიებში. მაშ რაა მიზეზი რომ ასე ფრთხილობენ და აგვიანებენ მის შემოღებას ჩვენში დღემდე? მართველობის პასუხი ამ კითხვებზე მუდამ ერთიდაიგივეა: „სუსტი ხართ კულტურით, ღარიბნი, ვერ გაუძლებით საერობო საქმეებსაო“.

საკვირველია ღმერთმანი! რუსეთი განთავისუფლდა ბატონყმობიდან 19 თებერვალს 1861 წელს. სამის წლის შემდეგ, 1864 წელს, ბატონი და ყმა ერთმანეთს ამოუყენეს გვერდში საერობო საქმეების მართვა-გამგებლობაში იმ დროს, როდესაც ამ შპ გუბერნიასში უბრალო წერაც კი არ იყო გავრცელებული და მით არაფერი დაშავებულა. საქართველოში ყმა განთავისუფლდა 1864 წელს, მას აქეთ აგერ სამი კი არა ორმოცდა სამ წელხედაც მეტია გასული, აღარც სოფელია ის, რაც ამ ორმოცი წლის წინად იყო, მაგრამ მიინც ისევ იმას გაიძახიან, ისევ უარყოფენ გამოცდილებას შინაურსაც და გარეულსაც.

იმავე დროს, როცა ჩვენში გადა-  
ვარდა ბატონ-ყმობა, ჩრდილოეთ ამე-  
რიკის შეერთებულ შტატებში ~~დაიბადა~~  
~~ხანგები~~ და ~~დამორჩილებასა-~~  
~~ნაწევ~~ მისცეს მათ სრული მოქალაქობ-  
რივი უფლებები.

ჩვენ, ათას ხუთასი წლის კულტუ-  
რის მქონეთ კი, გვეუბნებიან საერო-  
ბო საქმეების მოვლას ვერ შესძლებ-  
თო, ღარიბები ხართო.

განა სიღარიბე შესაძლოა დამაპრ-  
კოლებელი მიზეზი იყოს თვით-  
მართველობის შემოღებისა? რეფორმა  
ზომ ყოველთვის ჰმატებს ხალხს მუ-  
შაობის უნარს, აუმჯობესებს კანონებს  
და მით უაღვილებს მას სიმდიდრის შე-  
ძენას, რათა თვით შრომას ჰხდის უფ-  
რო ნაყოფიერს. თუ სადმე რეფორმას  
გამოუწვევია ახალი ხარჯი, იგი ერთი-  
ორად დაბრუნებია კიდევაც ხალხს. არა  
ყოფილა მაგალითი, რომ თვითმართვე-  
ლობას რომელიმე ერი დაეზარალები-  
ნოს.

„რომ თავის გზას არ ასცდეს თვით-  
მართველობაო“ — ამბობს პროფესორი  
ვ. ივანოვსკი, — საჭიროა იგი თვითმარ-  
თველობა ხალხისა აგებული იყოს მო-  
ქალაქობრივ თანასწორობაზეო, ე. ი.  
ყველა სრული წლოვანი უნდა იყვნენ  
მიწვეულნი საერობო საქმეების მარ-  
თვისთვის თანასწორი უფლებებითაო.  
საგანი თვითმართველობისა უნდა იყოს  
ყოველი ადგილობრივი საქმე. პო-  
ლიცია თავის საქმეებითურთ უნდა ერო-  
ბაში განთავისუფლებულ იქმნეს ბიუ-  
როკრატიული აპეისაგან გუბერნა-  
ტორისა ანუ შინაგან საქმეთა მინისტ-  
რის მხრივ და უნდა მთავრობას მხო-  
ლოდ კონტროლის უფლება ქონდეს,  
რომ ერობა არ გადავიდეს თავის უფ-

ლებებს და არ შეეხოს სახელმწიფო  
ზოგად ინტერესებს. კანონის დარღვე-  
ვაში დამნაშავე უნდა გასამართლებული  
იქმნეს ამორჩეულ სამჯავროსაგან.

ერობის განთავისუფლება მართვე-  
ლობის აპეისაგან, დამნაშავე პირთ  
გასასამართლება სამჯავროსაგან და თა-  
ნასწორ უფლებობა ყველა სრული  
წლოვანისა საერობო საქმეებში აი ის  
ძირითადი დებულებანი, რომელნიც  
არიან მაჩვენებელნი რამდენად ესა თუ  
ის ერობა საზოგადოებრივი დაწესე-  
ბულება არისო.“

„თვითმართველობამ, — სწერს ი. ჭავ-  
ჭავჭავაძე, — რომ თავისი ჩვეულებრივი  
ნაყოფი მოიტანოს და თავისთავს არ  
უმტყუნოს, არც ერთი მისი არსებითი  
კუთვნილება დავიწყებულ არ უნდა  
იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ  
უნდა დაირღვესო.“

1890 წლის ერობათა დებულებამ  
აშკარად დაამტკიცა სიჭეშმარიტე ი.  
ჭავჭავაძისაგან გამოთქმული აზრისა.  
მართველობამ 1890 წ. ერობის დებუ-  
ლებებში უკუაგდო ძირითადი თვისე-  
ბა თვითმართველობისა და 1864 წ.  
დაწესებულება შესცვალა წოდებრიულ  
ერობაზე და ჩააყენა ვიწრო ფარგალ-  
ში. შედეგი იყო ის, რომ მოღვაწეო-  
ბა ერობაში მიეცა გუბერნატორის  
განკარგულებას, რის გამო მრავალი  
გამოცდილი და სანატრელი მოღვაწე  
ჩამოშორდა საზოგადო საქმეებს.

დღესაც თუ ჩვენთვის განზრახულ  
ერობის ორგანიზაციას ჩვენი „მოუმზა-  
დებლობა“, „სიღარიბე“ დაედო სათა-  
ვეში, უეჭველია პრინციპი თვითმართვე-  
ლობისა დამახინჯებული გამოვა.

რა ნაყოფი მოგვიტანა პრინციპის —  
„თავისუფალი გლეხი — თავისუფალი მა-



მულით“ დამახინჯებამ ბატონ-ყმობის გაუქმების დროს საქართველოში, ამას დღეს ყველა ხედავს.

ესლა მაინც ვერიდოთ შეცდომის გამოვარებას.

ყოველი ჩვენი თხოვნა ერობის შემოღების შესახებ ბოლოვდებოდა: „ადრეა, მოუშვადებელი ხართ“.

აი ესლაც, თუმცა თითონვე სთვლიან აუცილებელ საჭიროებად მის შემოღებას, მაგრამ მაინც არ ავიწყდებათ, რომ „სუსტნი ვართ კულტურით“, „ღარიბნი“, „ხარჯს ვერ ავიტანთ“ და სხვა.

მართლაც და ამ მხრივ, სიმართლე რომ ვსთქვათ, ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა იგივეა, რაც ამ ოცდაათი წლის წინ იყო.

მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ცხოვრება იმ გვარ პირობებშია, რომელიც აპროკლებს ცხოვრების წარმატების გზაზე სიარულს. მაშ დიდ ცოდვად უნდა ჩათვალოს მთავრობას, რომ ამ ოცდაათი წლის განმავლობაში ხალხი ესე შებოჭილი სიკვდილის გზაზე ყავდა დაყენებული.

ღარიბები ხართო. მართალია, ქართველი ერი ღარიბია, მაგრამ განა სხვა ერები კი სიმდიდრეში არიან დაბადებულნი? სიმდიდრე ხომ, როგორც ქველად ამბობდნენ, შეძენილი საუნჯეა. რომ მდიდრები ვიყვნეთ და საზოგადოებრივი ცხოვრების გარემოებაც ხელს გვიწყობდეს უფრო მეტი სიმდიდრის შეძენაში, ხომ ადარც წესწყობილების შეცვლას მოვისურვებდით. სამწუხაროც ის არის, რომ ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ ჩვენმა ცხოვრებამ მხოლოდ ჩარჩობა გახადა სიმდიდრის შეძენის უპირველეს წყაროდ. ამიერიდან ჩარჩი ღრღნის ხალხს

ისე, უოგორც კია ხეს. რომ სოფელში შესძლოს განთავისუფლება ამ დამონავებულ მდგომარეობიდან საჭიროა ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც მისკეთილდღეობას გაუწევენ სამსახურს. ერობა ქართველ ხალხისთვის საჭიროა როგორც სახსარი ეკონომიური გაუმჯობესობისა. ერობამ ერს უნდა მიანიჭოს თავის მიწაწყლის საქმეების გამგებლობა თორემ უცნაური ამბავი ხდება აგერ თითქმის მთელი ნახევარი საუკუნე მიდის. ადმინისტრაცია განაგებს საქმეებს—აკეთებს გზებს, ხიდებს, აშენებს სკოლებს, ნიშნავს ექიმებს და სხვა; ყველა ამის ხარჯს ხალხის გარდასახადიდგან ხარჯავენ, ანგარიში დანახარჯისა სხვის ეძლევა, თვით ხალხს როგორც მცირე წლოვანს, არაფერს ჰკითხვენ და ამ ხალხს კი უკიჟინებენ სიღარიბესა და კულტურის სისუსტეს. თქვე კაი სულნო, ხალხიდან აღებული მის საქმეზედვე დასახარჯვათ გარდასახადი და ყოველი ზრუნვა ამ ხალხის გაკულტურებაზე თქვენს ხელში იყო და არის ეს ნახევარი საუკუნეა, მაშ რატომ მაგ კითხვებით—რათ ვართ აქამდე ღარიბნი და კულტურით სუსტნი—მათ არ მიმართავთ, ვინც ხელმძღვანელობდა სასოფლო საქმეებში? ჩვენც ვგრძნობთ ამ ჩვენს სიღარიბეს და აისწორეთ ამიტომ გვინდა, რომ მოგვცეს უფლება ჩვენი მიწა-წყლის საქმეები ჩვენვე ვაწარმოვოთ. თორემ როდემდე უნდა იყოს ასე: ერთი ხარჯავდეს, მეორე პასუხს აგებდეს. დროა მალე მივატოვოთ ეს საღი გონების წინააღმდეგი წესი ცხოვრებისა და ხალხის საკეთილდღეოთ შემოვიღოთ ხალხის თვითმართველობა სასოფლო საქმეებში.

ე. იოსელიანი.

## წვრილი სესხი სოფლად

ხშირად გაგიგონია ჩივილი ჩვენი სოფლის ჩამორჩენაზე, გლეხი-კაცის უსახრობაზე. ამ გვარ ჩივილს აქვს თავისი საფუძველი. მიზეზი ამ უსახრობის გამომწვევი ბევრია. მე მსურს აქ მოვახსენოთ ერთს იმ მიზეზთაგანზე.

გაქირვება, უსახსრობა ყველა კაცის სტუშარია. ეს სტუშარი უფრო ხშირად სოფლის გლეხს ეწვევა ხოლმე. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ 100 მცხოვრებთა შორის 95 გაქირვებას ითმენს. გაქირვებული კაცი, რაკი ვერას გახდება თავის მზგავს უმწყო მოკეთესთან, ნება-უნებლიეთ სოფლის ჩარჩ-მოვახშეს მიმართავს. ეს უკანასკნელიც აბა რის მოვახშეა, რომ მარჯვე შემთხვევით არ ისარგებლოს. ხოლო ჯერ განგებ უარობს, ფულის უქონლობას იმიზეზებს, ვითომ თანაგრძობასაც უცხადებს, მაგრამ ხელის გამართვაზე არა სთანხმდება. როცა მთხოვნელი საკმარისად თავს შეაბრალებს და თანაც კარგს სარგებელს დაჰპირდება, მოვახშეც უცებ მორბილდება და მამასისხლად მიასესხებს.

განა ვინ არ დასწრებია ან გაგონით არ გაუგონია, რომ ხშირად, მაგალითად, ნასესხ თუმანში გაქირვებულ კაცს მოვახშესთვის წლის თავზე ორი კოდი პური და ერთი კოკა ღვინო მიუცია თავნის გარდა; ეს სარგებელი ფულად რომ ვიანგარიშოთ, თავნს აღემატება. განა არ გაგიგონიათ რომ გაქირვებულ გლეხს ერთი დღის კარგად შემუშავებული ვენახი ორ თუმანში დაეგირავებინოს და ნაბარტყ სარგებლის გამო 4—5 წელიწადს ვენახი ხელიდან გამოსცლოდეს. მაგრამ რა საქიროა

ყოველ იმ ამბის ჩამოთვლა, რომელიც ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა ჩვენს ქვეყანაში.

როდემდის უნდა ვიცხოვროთ ასე? ნუ თუ გაქირვებულმა ხალხმა, თავის თავის შევლა არ უნდა მოიწადინოს?

ღიახაც მოიწადინებს, მაგრამ საიდან და როგორ. ცალკე კაცი ვერას გახდება. საერთო საქმეში საერთო დახმარებაა საჭირო. ცალ უღელა ხარის პატრონი ერთ ციდა ადგილსაც ვერ მოხნავს, სხვებთან შეერთებული-კი გუთნეულს შეჰყარის და საერთო ხენას გააჩაღებს. სწორეთ ასეთი დახმარებაა საჭირო სესხის ანუ **კრედიტის** მოპოვებაშიაც. ახლანდელ დროში შეძლებული კაციც კი, ვაჭარია იგი თუ სხვა რამ საქმის პატრონი, **უკრედიტოთ** საქმეს რიგიანად ვერ აწარმოებს. მას ის დასჩაგრავს, ვისაც თავისი თანხა **კრედიტით** აქვს შევსებული, რომ წარმოება გააძლიეროს, უფრო იაფად დაისოს, უფრო იაფად და ჩქარა გაასაღოს დამზადებული საქონელი.

საქმიან და შეგნებულ კაცს კარგად ესმის, რომ კრედიტი ძალაა. ამიტომ ყველგან დაარსებულია ბანკები, საიდანაც მკირე სარგებლით წვევრი ფულს სესხულობენ, საქმეს ახმარებენ და დანიშნულ დროს ისევ უკან უბრუნებენ. ქალაქის ბანკებში ყოველ დღე მრავალი ხალხი ტრიალებს: რიგს შეაქვს ფული, რიგს გამოაქვს, დაუღვეელი ზღვა მოგაგონდება, რომელსაც მდინარენი ერთვის და გაედინება.

სესხის, კრედიტის მოპოვება ქალაქზე არა ნაკლებ სოფელს ესაჭიროება. ეს იქიდან სჩანს, რომ ჩარჩ-მოვახშეებს



უფრო აქ მოუკალათნიათ, აქ გაუმავრებიან ზურგი. სოფელი უნახავთ უძალლო, ზედ გაუვლიათ უჯობო.

დაჩაგრულ ხალხის მომხრეებს ეს გარემოება მხედველობაში მიუღიათ და ბევრგან სოფლის ბანკები დაუარსებიათ. სახლვარ გარეთი რომ არ ვიანგარიშოთ, რუსეთში 1907 წლის პირველ აპრილამდე იყო დარსებული 1396 საკრედიტო ამხანაგობა, რომლებშიაც 438 ათასი წევრი ირიცხებოდა, სახელმწიფო ბანკებიდან 4<sup>1</sup>/<sub>2</sub> მილიონი მანეთი ქონდათ სესხად გატანილი და თავიანთ შორისაც 8 მილიონი მანეთი შეგროვებული. თანხის გასაძლიერებლად წმინდა მოგებიდან 1996 ათასი მანეთი გადაუდგიათ და თავიანთ წევრებზე 16 მილიონი მანეთი სესხად გაუციათ.

ჩვენშიაც გამოჩნდნენ ამ გვარი პირები, აქა-იქ სოფლის კასები, დეპოები დაარსეს, მაგრამ ამათ თან დაჰყვათ ქართველთა საზოგადო სენი--უთაურობა, უყურადღებობა. ამ მიზეზების გამო ფრიად სასარგებლო საქმე დაილუპა, კასა-დეპოები დაიხურა, ხალხმა გული აიკრუვა, ნდობა დაკარგა, საქმის ხელ-ახლად დაწყება კაცილებით უფრო ძნელია. სულ რომ არ დაეწყოს, უფრო ადვილი იქნებოდა ამ მხრივ სა-

ქმის მოწესრიგება დღეს, ეხლა კი გულაცრუებული ხალხი უნდობლად შეხედავს ყოველ ამ გვარ საქმეს, უგულლოთ მოეკიდება.

მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. საჭიროა მეტი შრომა, მეტი თავგამოდება. ღეთის მადლით, ჩვენში კიდევ მოიპოვებინ პატიოსანი, მტკიცე ხასიათისა და ხალხის გულშემატკივარი პირნი, რომელთაც ხალხის ნდობა შეერჩენიათ და საქმის გამობრუნება შეუძლიანთ. ჩვენც მხოლოდ ამით მივმართავთ, ადგილობრივი პირობები შეისწავლონ, ნაცნობთა შორის ოციოდე წევრი აირჩიონ, 1904 წ. 7 ივნისის გამოცემული წვრილ კრედიტის წესდება გაიცნონ (ქართულადაც არის დაბეჭდილი, ტფილისის სახელმწიფო ბანკიდან ყველას უფასოდ ეძლევა) და დაუყოვნებლივ მოჰკიდონ საქმეს ხელი. ნუ შეაშინებთ ის გარემოება, რომ საქმე მეტად ძნელია, სამაგიეროდ ამდენადვე სასარგებლოა. ნურც ის გარემოება შეაშინებთ, რომ წინად არსებულმა კასა-დეპოებმა თქვენი ქირი წაიღეს. ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში ხალხი გამოფხიზლდა, კარგისა და ავის გარჩევის უნარი შეიგნო: თქვენს გულწრფელ წადილს, პატიოსან შრომას დააფასებს.

**ეგნატე ხრამელაშვილი**

## ვაზის ობი ანუ მილდიუ და მისი წამლობა

მისის შუა რიცხვებში ვაზის მწვანე ფოთლების ზედაპირზე ადვილად შეამჩნევთ მოყვითალო ლაქებს, მეტადრე როცა ნამიანი ტაროსი დგა.

ეს ლაქები მთელი ფოთლის სიფრთხანაზე არიან მოფანტულნი და ხშირად კიდევაც გაერთიანრდებიან ხოლმე.

გადმოაბრუნეთ ფოთოლი და სწორედ ამ ლაქების ქვეშ ნახავთ, რომ ფოთოლს რაღაც თეთრი მოლაპლაპე შაქრის ფქვილის მზგავსი მტვერი აყრია, რომელიც შემდეგში მოწითალოდ ახმობს ფოთოლს.

ამ სენს უწოდებენ მილდიუს ანუ ქართულად ვაზის ობს.



ვაზის ობი ძალიან წვრილი, თვალთუჩინარი სოკოსაგან ჩნდება და მრავლდება. სოკოს თესლს სფორას უწოდებენ. ამ ობის სფორა წყლის წვეთში რამდენიმე საათის განმავლობაში ღვივდება, უშვებს ნასკვს, უსრულდება ზრდა და ბოლოს უთვალავ თესლს იძლევა და ამ გვარად მცირედ ხანში მთელ მცენარეს მოედება ხოლმე.

მილდიუთი სნეულდება ვაზის ფოთოლი, ყლორტი და მტევანი. ფოთოლი ხმება და უღროთ სცივია; რქა ვერ ისრულებს ზრდას, ვერ შემოდის, მარცვალიც და მტევნის ყუნწი და ღეროც ჭკნება და სცივია.

თუ მილდიუს წვიმიანი ამინდი დაუდგა, ერთ ღღე-ღამეში შეიძლება მოედოს მთელ ვენახს. ამ შემთხვევაში მთელი წლის შრომა დაკარგულია.

ეს რომ არ მოხდეს საჭიროა წამლობა. მილდიუს წინააღმდეგ უებარი საშუალებაა შაბიამანი გახსნილი კირნარვე წყალში, რასაც სახელად **ბორდოს წყალს** ეტყვიან.

მევენახემ ანამცა-და-ანამაც არ უნდა დაივიწყოს, რომ **პირველი წამლობა სენის გაჩენამდე უნდა.**

რათა? იმიტომ, რომ როდესაც მილდიუს სფორები ფოთლებზე ან ყლორტებზე დაბინავებას მოიძიომებენ, იქ უკვე შაბიამანი დახვდებათ და ფეხს ვეღარ მოიკიდებენ და დაიხოცებიან კიდევაც.


თუ ზაფხული წვიმიანია, წამლობა 3—4 ჯერ სჭირდება, თუ გოლვაა — ორჯერაც ეყოფა.

რომელი ნივთიერება რამდენი უნდა ავიღოთ ბორდოს წყლის მოსამზადებლად, ამაზე ამ ჟურნალის პირველ ნომერში იყო მოხსენებული. ხოლო თვით

შეზავება წამლისა ასე უნდა მოახდინოთ:

ვსთქვათ 20 ვედრა წამალი გვინდა მოვამზადოთ, ამისათვის ავიღებთ 20 ვედრა წყალს, ათ გირვანქა შაბიამანს და ხუთ გირვანქა **ქვა-კირს** ანუ წყალდაუსხმელ ახალ კირს. შაბიამანს ჩაყრით პატარა პარკში, მოვაკრამთ პირს და ჩავკიდებთ ამ ოც ვედრა წყალში. სამი-ოთხი საათის განმავლობაში შაბიამანი წყალში დადნება ისე, რომ პარკს რო ამოვიღებთ, შიგ აღარაფერი არ იქნება. შემდეგ ამისა ჩაყრით პატარა ჭურჭელში იმ ხუთ გირვანქა ქვა-კირს და დავასხამთ ცოტ-ცოტა წყალს, რომ ჯერ განელდეს და შემდეგ აითქვიფოს კიდევაც წყალში. წყლის დასხმის დროს უნდა კირს ჯობით ურიოთ. გასანელებლად კირს ცოტ-ცოტა უნდა დავასხათ წყალი იმიტომ, რომ ამ დროს დიდი სითბო წარმოხდება, ჭურჭელი (მაგ. ხის ხონი) ცხელდება და შეიძლება კიდევაც გასქდეს. როცა კირს აპთქვეფამთ, დაუდგით საცერი და ჩაასხით იმ ოც ვედრა შაბიამანი წყალში, თან ურეთ ჯობით კარგად და მიიღებთ სასიამოვნო ცისფერ სითხეს, რომელიც იქნება **ბორდოს წყალი**

ერთი საათის შემდეგ მომზადებისა კიდევ დაურიეთ კარგად და წამალი მზად არის. ჩაასხით აპარატში და შეუდექით წამლობას. შემჩნეულია, რომ ღამე გამოვლილი ბორდოს წყალი უფრო კარგა მოქმედებსო, ე. ი. როცა წამალს მომზადების შემდეგ შესხურებამდე 12 საათამდე დასცალდება, უფრო კარგად მოქმედებსო. ამას ბევრი ამბობს, მაგრამ მაინც დაკვირვებასა და შესწავლას თხოულობს.



წამალი ისე უნდა შეესხუროს, რომ მთელი ვაზი წვრილი წინწყლების ბუღში იყოს.

მუდამ, როცა აპარატში იღებდეთ ბორდოს წყალს ბოჰკიდან, ჯერ უნდა წამალს ჯოხით დაურიოთ ხოლმე, რადგან კირი ძირს ილექება და ზევიდან ამოღებულ წამალს შაბიამანი მოჭარბებით ექნება და შეიძლება ფოთოლი დაწვას.

შუადღის გულზე, როცა ძალიან ცხელა ან როცა დიდი ქარია, წამლობა უნდა შეაჩეროთ.

რაკი ბორდოს წყალი ფოთოლზე შესრება, იმას წვიმა ველარ ჩამორეცხავს, ამიტომ თუ წვიმა წამლობის უმაღლვე მოვიდა, როცა ჯერ წამალი შემშრალი არ იყო ფოთოლზე, წამლობა უნდა გამეორდეს.

წამლის მომზადების დროს შეცდომა არ მოგივიდეთ: **შაბიამნიან წყალში უნდა ათქვეფილი კირი ჩაასხათ და არა უკუღმა.**

პირველი წამლობა, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, უნდა მილდიუს გაჩენამდე—ვაზის აყვავებამდე; მეორე—სამი კვირის შემდეგ, როცა ყურძენი კარგა დაისვრიმდება და უკანასკნელი წამლობა უნდა გათავდეს ერთი თვით ადრე სანამ ყურძენში თვალი შევა.

როცა ვაზი ყვავილშია, წამლის შესხურება არ შეიძლება, რადგან სხვათა შორის ყვავილი გასცვივა ვაზს და ნაკლებად დაისხამს.

ბორდოს წყალი უებარი წამალია ვაზის ზოგიერთა სხვა სენის წინააღმდეგაც, მაგალითად: ბლეკ-როტის (შავი სიღამპლე), ვაიტ-როდის (თეთრი სი-

ღამპლე) და სხვ.; ძალიან რგებს აგრედვე ხეხილებსაც მრავალგვარ ავადმყოფობის წინააღმდეგ. მატლების, ტილების და სხვა პარაზიტების დასახოცად ბორდოს წყალს თითო ვედრაზე ორ მისხალს ეგრედ წოდებულს **პარიზის მწვანე მფხვნილს** უშვრებიან.

ეს მფხვნილი საწამლაია და ფრთხილად უნდა მოექცეთ, რომ მის მტვერი თვალეში არ ჩაგივიდეთ ან არ ჩაისუნთქოთ. სანამ ბორდოს წყალში ჩაყრით ამ მფხვნილს, უნდა ცოტათი დანამოთ წყლით, რომ წამოყრაში მტვერი არ აუშვას.

ბორდოს წყალს, როცა პარიზის მწვანე მფხვნილს ჩაყრით შიგ, ხშირად უნდა დაურიოთ ხოლმე, რადგან მფხვნილი არა დნება წყალში და ჩაილექებს, თუ არ დაურევთ.

ერთ დესეტინა ვენახს სამჯერ წამლობისთვის სჭირდება სასხურებლად საშუალოდ 3—3<sup>1</sup>/<sub>2</sub> ფუთი შაბიამანი. წამლობის დროს მუშა უნდა ფრთხილობდეს ტყუილებრალოდ არ დაღვაროს წამალი მიწაზედ.

ვისაც პატარა ვენახი აქვს და ბორდოს წყალი ბევრი არა სჭირდება, იმას შეუძლიან იყიდოს ბორდოს წყლის გასაკეთებლად გამზადებული მფხვნილი, რომელსაც სახელად **„ეკლერი“** ჰქვიან.

„ეკლერი“ პაჩვებით იყიდება; თითო პარკში ხუთ-ხუთი გირვანქაა. ჩაყრით ერთ პარკ მფხვნილს ხის ან თიხის ჭურჭელში, დაასხამთ რვა ვედრა წყალს, დაურევთ კარგად და ბორდოს წყალი მზათ არის.

სვიმონ ხუნდაძე

## ვაშლის სოკოთი ავადმყოფობანი

**ვაშლის მძოვარა** (Парша яблони) ვაშლის მძოვარა ერთგვარი თვალთუჩინარ სოკოსაგან წარმოსდგება, რომელიც ჰაერიდან განსაკუთრებით ფოთლებსა და ნაყოფზედ გადადის. თუმცა თავის ასაღორძინებლად ეს სოკო ნორჩ ხის ყლორტებზედაც პოულობს ნიადაგს. ყლორტის ნორჩ ქერქის ზედაპირიდან სოკოს ძაფმავარი თუჩინარი ფესვები ღრმით მიდიან ქერქის ქვეშ და იქიდან სწოვენ საზრდოს, ესე იგი ხის წვენს. ამ შემთხვევაში თუ ყლორტმა ავადმყოფ ადგილზედ ახალი ქერქი არ შემოიკრა, მეორე გაზაფხულზედ ტოტების ის ადგილები სკდება და იარავედება.

ვაშლის ნაყოფს ამ სოკოს ზედგავლენით მოშაო ხალები უჩნდება, რომლებიც თანდათან იზრდებიან, ერთიანდებიან და ბოლოს ერთ ხალად გარდაიქცევიან ხოლმე. ესეთი ხალისი ნაყოფი კორძიანდება, ეკარგება თავისი სილამაზე და ამისთვის ბაზარზედაც ფასი აღარა აქვს. ვაშლის ფოთლებსაც ამგვარი ხალები უჩნდებათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელზედ ხალების შუა გული იზურთება და ამის მიზეზით ფოთლებიც იკმუხნებიან. რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს ავადმყოფი ადგილები უხმება და თავისთავად გამოსცივია ხოლმე ფოთლებს. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ამ სენით ავადმყოფ ხეს დაზვერტილი ფოთლები აქვს ხოლმე. რასაკვირველია, ამნაირად დასნეულებული ფოთლებიც დიდხანს არ რჩებიან ხეზედ. ვაშლის მძოვარა, საზოგადოთ დიდად მაზარალებელი სენია ვაშლის ხეებისთვის, მეტადრე ავღრიან გაზაფხულზედ.

მძოვარა სოკოს წინააღმდეგ შაბიამანს ხმარობენ. პირველი დრო წამლობისა არის ვიდრე კვირტები გაიშლებიან და მეორე ვინემ ყვავილი გადაიშლება. თუ ავღრიანი ამინდი შეგემთხვათ, წამლობა მეორეთაც საჭიროა.

**ჟანგი** (Ржавчина). ჟანგი წარმოსდგება სოკოსაგან, რომელიც მომეტებულ ნაწილად ვაშლის ფოთლებს უჩნდება. დაავადმყოფებული ფოთლები დიდხანს აღარ რჩებიან ხეზედ, სცივია და მათ ჩამოცივიანს ნაყოფის ჩამოცივიანაც მოჰყვება ხოლმე.

ჟანგი მაისის ნახევრიდან უჩნდება ხეებს. გამოუცდელ თვალსაც ადვილად შეუძლიან იცნოს ეს ავადმყოფობა, რადგან ფოთლის ქვეითა პირზედ აგურის ფერი მეჭეჭის მზგავსი ხალები უჩნდება.

ჟანგის სოკო ერთსა და იმავე დროს როგორც ვაშლზედ ისე ღვიაზედ გაჩნდება ხოლმე. სადაც ამ ორ მცენარეთაგან არც ერთი არ არის, იქ ჟანგიც ვერ იცხოვრებს. ჩვენც ამთვისებით უნდა ვისარგებლოთ და თუ ხეხილის ბაღის ახლო ღვია იზრდება, მოვსკრათ და დავეწოთ. კარგი იქნება რომ შაბიამანითაც ორჯელ უწამლოთ: პირველათ ფოთლები რომ გაიშლებიან და მეორეთ 7—8 დღის შემდეგ.

**ვაშლის ნაცარი** (Мучная роса). ეს ავადმყოფობაც თუჩინარი სოკოებისაგანა ჩნდება. ვაშლის ავადმყოფი ფოთლები ვაზის ნაცარ-შეყრილ ფოთლებს მოგავგონებთ. ამ გვარი ფოთლები მალე ხმებიან და ჩამოსცივია ხოლმე ხეს. ამ სენის წინააღმდეგ შაბიამანის სითხე



უნდა იხმაროთ. პირველად უნდა წამლობა, როცა ფოთლები გაიშლებიან. თუ ფოთლებს ნაცარი ძალიან მოდებ-

ბული აქვთ, საჭიროა ნ წამლობაც ათათი დღის გამოშვებით.

გ. ნახუტრიშვილი

## ბუნებრივი სასუქი ხეხილებისათვის

### ნაშრომები

უმთავრესი სინაყივრე ხეხილებისათვის, რომელიც ნეშრომპალშია ეს არის აზოტი და კალი.

ნეშრომპალს ამიტომ ხმარობენ სასუქათ ხშირათ და ბლომად. ნეშრომპალს რომ სუპერფოსფატი ან სხვა რომელიმე ხელოვნური სასუქი, რომელიც შედგენილობით ფოსფორ-მეჯიანია, მიუმატოთ კარგი იქნება, რადგან ნეშრომპალს როგორც სასუქს ძალა ემატება. თითო დესეტინა ხეხილის ბაღს ახმარებენ ჯერზე 3000 — 5000 ვედრამდე ნეშრომპალს.

რადგან ნეშრომპალის თანაბრათ დასხმა ბაღში, რომ ყველა ხეებს ერთნაირათ მისწვდეს, ძნელია და თანაც მცენარე ნეშრომპალს ძრიელ ადვილად ითვისებს, ამიტომ ნეშრომპალს ერთბაშად შეიტანენ ხოლმე ბაღში და ასხამენ წინათვე დამზადებულ ორმოებში, რომლებსაც სთხრიან ხეების გარშემო ერთი არშინის სიღრმეზე იმადგილას სადაც მცენარის ნორჩი ფესვები არიან დაახლოებით. ორმოები უბრალო ბართაც შეიძლება ამოითხაროს. ზოგან-კი იხმარება მიწის სათხრელი ბურაოები ან და გამწვეტებული და დაპირული ოთხგვერდა შუბის მაგვარი რკინის პალოები სიგძით ერთ არშინიანი. როცა ნეშრომპალს ხშირათ ახმარებენ, რომ ყოველ შეტანაზე ახალ-ახალი ორმოების დათხრა არ იყოს საჭირო, ორმოებს ქვიშით ან აგურის ნამტვრევებით ანოავსებენ ხოლმე და ისე ასხამენ ზემოდან ნეშრომპალს. ნეშრომპალი

ამ შემთხვევაში არა გუბდება ერთ ალბას და უფრო ადვილად გაუჯდება ხოლმე მთელ ნიადაგს.

ნეშრომპალი შეაქვთ ბაღში ბოქკით, რომელიც წყლის ბოქკისაებრ ორ თვალზეა გამართული, რომ წაღებ-წამოღება ადვილი იყოს, და ქვეშიდან კრანი აქვს გაკეთებული ნეშრომპალის ორმოში ჩასასხმელად.

პატარა ტანის ხეხილებისთვის ნეშრომპალს ნახევარზე წყალს გადურევენ ხოლმე და ისე ახმარებენ. წყლის გადარევა ასე უნდა მოხდეს: ჩაასხამთ ბოქკაში ნახევრამდის ნეშრომპალს და გადააგებთ ბოქკას წყლით. ყოველ დღე 8—10 დღის განმავლობაში დღეში ორჯერ უნდა დაუროთ ბოქკას, რომ წყალი და ნეშრომპალი ერთმანეთს კარგა გაუჯდნენ. მხოლოდ შემდეგ ესეთი მომზადებისა გაკეთდება წყალ-დასხმული ნეშრომპალი ნაყიერ სასუქად. როცა მშრლობაა, დიდი ხეხილებისათვისაც ესეთ წყალნარევი ნეშრომპალს ხმარობენ. რადგან ამ ნეშრომპალთან ერთად მცენარის ფესვები ხარბად ითვისებენ ნიადაგის სინესტესაც (წყალს), რის გამო წყალდაუსხმელი ნეშრომპალი რომ ვინმართ, ნიადაგი მალე შეიძლება ძრიელ გამოშრეს, თუ წვიმა არ მოვიდა, და რგების მაგივრად ხეხილებს ევნოს.

როცა ხეხილებს წყალ-ნარევი ნეშრომპალს ახმარებენ თვით შეხმარება მორწყვით ხდება, მაგრამ ურიგო არ იქნება, რომ ხის გარშემო, სადაც ნორჩი ფესვები არიან გასულ-გამოსუნლი,

პატარა ორმოები თუნდა პალოთი დაკეთდეს, რომ მორწყვაში ნეშომპალი შიგ ორმოებში ჩავიდეს და ნიადაგს ადვილად გაუჯდეს.

ნეშომპალის ხმარება თიბათვის პირველ რიცხევაბამდე შეიძლება, შემდეგ კი, როცა დაცხება, აღარ.

### ბნელი ოქრო

ბნელი ოქრო ჰქვიან იმას, რაც ფეხის ადგილებში გროვდება. ეს ნივთიერება თავისი სინოპივრით ხეხილებისათვის სწორედ რომ ოქროა.

ბნელი ოქრო იხმარება სასუქად ან ისე წმინდად, როგორც ამოიღება ფეხის ადგილებიდან ან და ჯერ აურევენ იმას სხვადასხვა მონაგავს სამზარეულოში, ეზოში, ერთის სიტყვით ყველაფერს, რასაც დაშლა-დაღობა შეუძლიან, და შემდეგ, როცა ეს ნარევი დაიდუღებს, იხმარებენ სასუქად

ხშირად აგროვებულს ერთად ხის ფოთლებს, ხის ნახერხს, შამბ-კეკეკ ბალახს, ქეჩიჩ-ფუჩიჩს, რომელნიც არც ფუჩიჩად და არც თივად ვარგანან, დაახამენ ხოლმე ზემოდან ბნელ ოქროს და როცა გროვა დაიდუღებს იხმარებენ სასუქად.

ზოგმა შეიძლება იფიქროს, რომ ბნელი ოქრო ცუდათ იმოქმედებს ხეხილზე და მეტადრე მის ნაყოფზე უფრო-კი მის გემოსა და სურნელოვანებაზე. ესეთი შიში უსაფუძვლოა. პირიქით, რაც გინდა უხვად შეხმარდეს ხე-

ხილებს ბნელი ოქრო, მის ზედმოქმედება კარგის მეტს სხვას არას გამოიწვევს. არის ისეთი მაგალითები, რომ თითო კვ. საყენ ადგილზე 100 ვედრა ბნელი ოქრო უხმარიათ და მშვენიერი შედეგი მიუღიათ... ხოლო როცა გოლვა არის, მაშინ ბნელი ოქროს სასუქად ხმარება საშიშოა იმავე მიზეზით, რომელიც ზევით ნეშომპალზე რო ვლაპარაკობდით, მოვიყვანეთ, ე. ი. რომ ბნელი ოქრო ჰმატებს მცენარეს ზრდას, რის გამო მცენარის ფესვები ხარბად სწოვენ ნიადაგიდან სინესტეს და შეიძლება ეს ნიადაგი ისე გამოზრდეს, რომ ხეხილს ევნოს ან და ნამსუქნ ხეხილებს უსასუქოთ გაშვებულმა ხეხილებმა აჯობონ. სადაც წყალი ბლომად არის, იქ შეიძლება ბნელ ოქროს წყალი გადაერიოს ნახევრად და ისე მოირწყოს ხეხილის ბაღი.

ბნელი ოქრო უფრო აზოტს აძლევს მცენარეს, ამიტომ მის სასუქად ხმარება ყოველწლივ ან წლის გამოშვებით შეიძლება.

ბნელი ოქრო როგორც სასუქი უფრო სუბუქი ნიადაგებისათვის არის კარგი; მაგარი ნიადაგი, სადაც თიხაა მოქარბებით, უფრო მაგრდება ბნელი ოქროს ზედმოქმედებით, ამიტომ ამგვარ ნიადაგებზე სახმარებლად ბნელ ოქროს დაფხვნილ ტორფთან შეაზავებენ ხოლმე და ისე ხმარობენ.

ვ. შელი

## სანიმუშო წესდება წერილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა დამსახურებული 1908 წელს 8 მიორგოზისთვის

(დასასრული\*)

საკომისიო ფასის რაოდენობას, აგრეთვე იმას, თუ ამ ფულიდან რამდენი უნდა გადაიდოს საწარმოვო თანხაში ან რამდენი უნდა მოხმარდეს ამხანაგობის საზოგადო ხარჯს, აწესებს საზოგადო კრება.

§ 14. ამხანაგობის წევრთ შეუძლიან ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ თავიანთის ნაყიდ საქირო ნივთების ფასი; ამ შედეგათის პირობას საზოგადო კრება აწესებს.

§ 15. წლის დამლევს გადარჩენილი ფული ამხანაგობისა ხმარდება ნაწილი საწარმო

\* იხილე „მოსავალი“ № 5.

თანხის გაძლიერებას და ნაწილიც სათადარიგო თანხის დაარსებას. საზოგადო კრებამ უნდა გადასწყვიტოს, რომელ თანხისთვის რამდენი გადაიღოს, რაც ამას ფული გადარჩება, საზოგადო კრებას შეუძლიან გაანაწილოს წევრთა შორის ან იმის ასანაზღაურებლად, რაც წევრებს წლის განმავლობაში საკომისიო ფასში დაეჭირათ (გამოერთვათ) ან და როგორც მოგება. ხსენებული ფული შეიძლება საზოგადო კრების დადგენილებით მოხმარდეს აგრეთვე ადგილობრივ სასოფლო მეურნეობის ამა თუ იმ სასარგებლო საქმეს. საწარმოო და სათადარიგო თანხების ანგარიში ცალკე-ცალკე სწარმოებს.

§ 16. ამხანაგობას შეუძლიან საზოგადო კრების დადგენილებით და ამავე კრების მიერ მოწონებულ პირობებით ფული ისესხოს. სესხების და საზოგადოთ ყველა ვალდებულობისათვის ამხანაგობა პასუხს აგებს მთელის თავის მოძრავ და უძრავ ქონებით, და ამის გარდა თუ ეს არ ეყო, თვითელი წევრთა ამხანაგობისა პასუხს აგებს ამ ვალდებულობისა და სესხებისათვის არა უმეტეს იმისა, რასაც სამი წლის საწევრო გადასახადი შეადგენს. ამასთან ამხანაგებიდან გასული წევრები პასუხს აგებენ იმ სესხებისა და ვალდებულობისათვის, რომელიც ამხანაგობამ მათ წევრობის დროს იკისრა, ხოლო ახლად ჩარიცხული წევრები პასუხს აგებენ იმ ვალდებულობისათვის, რომლის გასტუმრების ვადა დადგა მას შემდეგ, რაც ეს წევრები ამხანაგობაში ჩაეწერნენ.

§ 17. ამხანაგობის საქმეებს განაგებს გამგეობა. გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა რიცხვს, მათ სამსახურის ვადას და ერთმანეთში მუშაობის განაწილებას აწესებს და სცვლის საზოგადო კრება. საზოგადო კრებამვე უნდა გადასწყვიტოს თუ რა-და-რა საბუთებზეა საჭირო, რომ მთელმა გამგეობამ მოაწეროს ხელი, ხოლო აუცილებლად საჭიროა, რომ ამხანაგობის სახელით დადებულ ყველა ვალდებულებას და ხელშეკრულებას, აგრეთვე წლიურ ანგარიშს ხელი მოაწეროს მთელმა გამგეობამ.

§ 18. გამგეობაში სამ წევრზე ნაკლები არ უნდა იყოს, ამითგან ერთი თავმჯდომარე იქნება. ამ თავმჯდომარეს კრება ცალკე ირჩევს; იგი თავმჯდომარე იქნება ამხანაგობისაც და გამგეობისაც.

§ 19. არ შეიძლება ერთსა და იმავე კაცს

ჩაებაროს ამხანაგობის კასსაც და ანგარიშის წარმოებაც.

§ 20. ამხანაგობას შეუძლიან, თუ მოისურვებს, აირჩიოს წევრთა საზოგადო კრების მიერ დადგენილ ვადით საპატიო თავმჯდომარე. საპატიო თავმჯდომარის არჩევა შეიძლება იმათგან, ვისაც სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა წევრობის უფლება აქვთ.

§ 21. ამხანაგობის გამგეობის განსახლებულად ყოველ წელიწადს გამგეობის წევრთა და კანდიდატთა რიცხვიდან გამოდის თითო კაცი. გამოსულ წევრის და მის კანდიდატის მაგიერ კრება ირჩევს ახლებს ამხანაგობის წევრთა შრიდან. ამხანაგობის მოქმედების პირველ წლის დასასრულს, გამგეობის წევრნი და მათი კანდიდატები წილს იყრიან. იმის გადასაწყვეტად თუ ვინ უნდა გავიდეს გამგეობის და კანდიდატთა შრიდან, შემდეგ წლებში-კი გამგეობის წევრნი და მათი კანდიდატნი გამოდიან სამსახურის ვადის დასრულების უმალ.

§ 22. წევრთა საზოგადო კრება შეიძლება იყოს: წლიური, საგანგებო, და ჩვეულებრივი.

§ 23. წლიური საზოგადო კრება ხდება ყოველწლივ. . . . \*) . . . . თვეში. საზოგადო კრების საქმეები: 1) არჩევა თავმჯდომარისა, გამგეობის წევრთა და მათ კანდიდატთა, სარევიზიო კომისიის სამის წევრისა და მათ კანდიდატებისა სარევიზიო. კომისია მოვალეა შემდეგ წლიურ საზოგადო კრების წინ განიხილოს გამგეობის წლიური ანგარიში; 2) განხილვა ამხანაგობის წლიურ ანგარიშისა და სარევიზიო კომისიის დასკვნა-შენიშვნებისა; 3) დაწესება ამხანაგობის საქმეთა მართვა-გამგეობის წეს-რეგისა და 4) გადაწყვეტა ყველა იმ საკითხისა, რაც ამ წესდებით საზოგადო კრების საქმეს შეადგენს (§ 7, 11, 13, 14, 15, 16, 17, 20 და 21).

§ 24. საზოგადო კრება გამგეობამ უნდა მოიწვიოს: 1) როცა ამას მოითხოვს ამხანაგობის წევრთა არანაკლებ ერთის მეზუთედისა, მხოლოდ აუცილებელ საჭიროების გამო და ისიც იმ საქმეების გადასაწყვეტად, რომელთა წარმოება თანახმად § 23 შეუძლიან მხოლოდ საზოგადო კრებას; 2) როცა გადასაწყვეტია

\*) აქ უნდა ჩაიწეროს თუ რომელ თვეში მოხდება ხოლმე ამხანაგობის წევრთა წლიური კრება.

## როგორ ებრძვიან კლექები გაჭირებას

ისეთი საქმეები, რომელთა გადაწყვეტა გამგეობის უფლებას აღემატება; 3) როდესაც გადასაწყვეტია ისეთი საქმეები რომელთა შესახებაც საზოგადო კრების მიერ შემუშავებულ ინსტრუქციებში არაფერია ნათქვამი.

§ 25. ჩვეულებრივ კრების მოწვევა შეიძლება მხოლოდ საზოგადო სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე სათათბიროდ. ამ კრებაზე არ შეიძლება განხილვა ისეთ საკითხებისა, რომელიც ამხანაგობის მართვა-გამგეობის საქმეს ეხება.

§ 26. საზოგადო კრებას იწვევს გამგეობა.

§ 27. წლიური და საგანგებო კრებები მხოლოდ მაშინ ითვლებიან კანონიერად, როცა თვითველ კრებას დაესწრობა ამხანაგობის წევრთა ნახევარზე არა ნაკლები; ჩვეულებრივი კი კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. თუ წევრთა საჭირო რიცხვი არ გამოცხადდა და წლიური ან საგანგებო კრება არ შესდგა, მაშინ ერთი კვირის შემდეგ ინიშნება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩათვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

§ 28. საზოგადო წლიურ კრებას თავმჯდომარეობს საპატიო თავმჯდომარე, ხოლო თუ იგი არ დაესწრო, მაშინ საზოგადო კრება თავის წრიდან ირჩევს თავმჯდომარეს. ამ შემთხვევაში თავმჯდომარეობა არ შეუძლიან არც გამგეობის და არც სარევიზო კომისიის წევრთ. სხვა საზოგადო კრებებზე თავმჯდომარეობს ამხანაგობის თავმჯდომარე.

§ 29. საზოგადო კრებას ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტა შეუძლიან უბრალო ხმის უმეტესობით. თუ ხმები თანასწორად გაიყო, მაშინ თავმჯდომარის ხმას გადაწყვეტი ძალა აქვს. შემდეგი საკითხები: ამხანაგობის გაუქმება, წესდების შეცვლა, გამგეობის რომელიმე წევრის დათხოვნა სამსახურის ვადის დასრულებამდე და ამხანაგობიდან წევრის გაძევება, აგრეთვე სესხის აღება უნდა გადასწყდეს დამსწრე წევრთა ორი მესამედის უმეტესობით.

§ 30. საზოგადო კრების დღე და ამ კრებაზე განსახილველ საგნების სია წინდაწინვე უნდა ეცნობოს ადგილობრივ საპოლიციო მთავრობას.

§ 31. საზოგადო კრებას შეუძლიან მხოლოდ ისეთ საკითხების განხილვა, რომელთაც კავშირი აქვთ ამხანაგობის წესდებით დადგენილ მოქმედებასთან.

§ 32. თუ საზოგადო კრებამ დაადგინა ამხანაგობის გაუქმება, გამგეობამ ეს დადგენილება უნდა აცნობოს გუბერნატორს და სასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის განყოფილებას და გამოაცხადოს ადგილობრივ საგუბერნიო უწყებებში. მერვე ადგილობრივ საგუბერნიო უწყებებში დაბეჭდილ განცხადებით გამგეობა იწვევს ამხანაგობის კრედიტორებს და იწყებს ამხანაგობის ლიკვიდაციის (გაუქმების) საქმეს, იმ წესით, რომელიც მიღებულია სავაჭრო საქმეებში. ამასთან გამგეობა საზოგადოებას იმ ვადებში, რომელსაც კრება დანიშნავს, უდგენს ანგარიშს ლიკვიდაციის საქმის მსვლელობის შესახებ. ფული და ქონება ამხანაგობისა, რომელიც გადარჩება კრედიტორებთან ანგარიშის გასწორების შემდეგ, მოხმარდება წევრთა უკანასკნელ საზოგადო კრების მიერ დადგენილ და მიწათმოქმედებისა და მიწით მომწყობის მთავარ გამგის მიერ დამტკიცებულ საქმეს.

### სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის დაარსების შესახებ

რაკი კარგათ გადიკთხავთ ამ წესდებს, ასწონ დასწონავთ ყველაფერს, მოიაზრებთ შეეფერება თუ არა იგი თქვენს გარემოებას საჭიროებას, და საჭირო რიცხვიც (თორმეტი კაცი მაინც) აღმოჩნდება ამხანაგობის დაარსების მსურველი, მაშინ უნდა შეიკრიბნეთ ერთად საბოლოოდ შეთანხმდეთ, დაიბაროთ ამავე წესდების ერთი ცალი რუსულ ენაზე, ჩასწეროთ თხოვნა (რუსულად) და წესდებიანათ გაუგზავნოთ გუბერნატორს ან ფოსტით ან ამხანაგობის რომელიმე წევრს მიანდოთ მისი პირადად წარდგენა გუბერნატორისათვის.

თხოვნაზე არ არის საჭირო არც მარკა, არც სხვა რამ ხარჯი.

როცა მიიღებთ ნებართვას ამხანაგობის დაარსებისას, ამხანაგობის დამაარსებელი (დამფუძნებელი წევრი) ერთად მოიყრიან თავს და მართავენ სჯაბაას შესახებ იმისა, თუ დავდაპირველად რომელ საქმეს მოჰკიდონ ხელი, რომელი საქმეა უფრო საჭირო, რა ხარჯი ექნება ამხანაგობას, საიდან იშვავოს საჭირო თანხა და სხვა. ირჩევენ გამგეობას, რომელიც გაუძღვება ამხანაგობის საქმეებს, იღებენ ახალ წევრებს, თუ მსურველი აღმოჩნდა და სხვა.



თხოვნა შესახებ ამხანაგობის დაარსების ნებართვისა იწერება გუბერნატორის სახელზე, რუსულათ, ასე:

Его Превосходительству господину начальнику губернии (აქ უნდა ჩაიწეროს გუბერნიის სახელწოდება.)

**Прошение**

Мы нижеподписавшиеся жители селения (აქ უნდა ჩაიწეროს რუსულათვე სახელწოდება სოფლისა... და სოფლის საზოგადოებისა, სადაც ამხანაგობა არსდება... сельского общества... მზრის სახელწოდება უზადა... გუბერნიის სახელწოდება... губернии, признали необходимым учредить сельско-хозяйственное товарищество по прилагаемому при семъ нормальному уставу мелкихъ сельско-хозяйственныхъ товариществъ, утвержденному главнымъ управленіемъ земледѣлія и землеустройства 18 ноября 1908 года, а потому имѣемъ честь покорнѣйше просить Ваше Превосходительство разрѣшить открытіе—(უნდა ჩაიწეროს ამხანაგობის სახელწოდება)—сельско-хозяйственного товарищества, райономъ дѣятельности котораго будутъ селенія (აქ უნდა ჩასწეროს ის სოფელი ან სოფლები, სადაც ამხანაგობამ უნდა იმოქმედოს) сельского общества (უნდა ჩასწეროს სახელწოდება იმ სოფლის საზოგადოებისა, რომელსაც ეს სოფელი ან სოფლები ეკუთვნიან). Настоящее прошение уполномочиваемъ подать (უნდა ჩასწეროს წოდება, სახელი, მამის სახელი, და გვარი იმ კაცისა, რომელსაც მიენდობა თხოვნის პირადად ჩაბარება გუბერნატორისათვის. ეს უკანასკნელი წინადადება მხოლოდ იმ შემთხვევაში იწერება თუ თხოვნას ამხანაგობის განდობილი კაცი პირადად ჩააბარებს გუბერნატორის თხოვნას, თუ თხოვნა იგზავნება ფოსტით, მაშინ უკანასკნელი წინადადება: „настоящее прошение да сего“ აღარ უნდა დაიწეროს.)

Адресъ товарищества (აქ უნდა დაიწეროს ამხანაგობის საფოსტო ადრესი.

მერე ამ თხოვნას ხელი უნდა მოაწერონ ამხანაგობის დამაარსებელმა (დამფუძნებელმა)

წევრებმა, რიცხვით თორმეტმა კაცმა მიიტყვეთ სოფელმა ქვემო-ქალა მოსურვა ამხანაგობის დაარსება და თხოვნას გზავნის ფოსტით, აი როგორ იწერება თხოვნა.

Его превосходительству господину начальнику Тифлисской губернии

**Прошение**

Мы нижеподписавшиеся, жители сел. Квемо-чала, Квемочальскаго сельскаго общества, Горійскаго уѣзда, Тифлисской губ., признали необходимымъ учредить сельско-хозяйственное товарищество по прилагаемому при семъ уставу мелкихъ сельско-хозяйственныхъ товариществъ, утвержденному главнымъ управленіемъ земледѣлія и землеустройства 18 ноября 1908 года, а потому имѣемъ честь покорнѣйше просить Ваше Превосходительство разрѣшить открытіе Квемо-чальскаго сельско-хозяйственного товарищества, райономъ дѣятельности котораго будутъ всѣ селенія Квемо-чальскаго сельскаго общества. января 1 дня 1909 года.

Адресъ т. варищества.

Закавказская желѣзная дорога, ст. Каспи, селеніе Квемо-чала.

ქვევით კი ამხანაგობის დამფუძნებელი წევრი რიცხვით 12 კაცი მიიტყვეს ხელს აწერენ.

რათა გაჭირებულსაც შეეძლოს ამხანაგობის წევრობა, არამც და არამც არ უნდა იყოს წლიური საწევრო გადასახადი დიდი, ეს უპირველესი საქმეა. საწევრო გადასახადი მაგ. ათ შაურზე ან ერთ მანეთზე მეტი არ უნდა იყოს. მანეთზე მეტს გადახდა საშუალო გლეხსაც გაუჭირდება, ამხანაგობა კი უაჭირებულთათვის, ღარიბ გლეხისათვის არის საჭირო.

რუსულათ წესდების დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

С. Петербургъ, Васильевекій островъ, Румянцевская площадь соб. домъ, № 1—3 Книгоиздательство А. Ф. Девриенъ.

ერთი ცალი ამ წესდების რუსული ყურნალ მონახვის რედაქციამიაც არის:

**ე. კარბელაშვილი**

**საყურადღებო ცნობები**

**ლეღვის ყავა.**—გარდა ლეღვის ჩირისა, ლეღვიდან მშენიერი ყავაც მზადდება.

კარგა შემოსული კი ჯიშის ლეღვი თეორი „შაშალაკი“ ან შავი ლეღვი უნდა დაითქვინას, გაზრეს მზეზე ან თონეში კარგათ და შეძლეგ დაიჭრას წვრილათ, დაიშუშოს ცეცხლზედ, როგორც ყავა, და დაშუშული დაჭექვთ; მერე თქვენს გემოზე უზამთ ციკორს, ვანელს და მოიხაროებთა მშენიერი სასმელი

გემოთი და უწყინარი ყავა, რომელიც ადვილათ ასუქებს ადამიანს. **ტ. ნ.**

**გაიბების დრო.** ყველა ისეთი ბალახი, რომელსაც თავთავი გამოაქვს და შიგ ხორბალი ესახება, იმ დროს უნდა გაითიბოს, როცა სათავთავთ შემოვა და ეს ეს არის თავთავის გამოტანას იწყობს. ამ დროს გაითიბული ბალახიდან საუკეთესო თივა დგება. **Х.**

რედაქ.-გამომცემელი **ვ. ი. რცხილაძე**